№1742 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შესყიდვის შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს უცხოური საწარმოს – „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი.-ის ფილიალისგან საქართველოში“, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამული კოდი: 4.12, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“), 472 000 (ოთხას სამოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის

დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული ორგანიზაცია გათავისუფლდეს ამავე ბრძანების 21-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებისაგან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**